ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221852**
თარიღი:**04/07/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ", საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე, შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე მდებარე N29 ქუჩისათვის ,,შოთა გოგუაძის" სახელის გადარქმევის საკითხი.

2021 წლის 19 აგვისტოს დაბა ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა N29 ქუჩისათვის შოთა გოგუაძის სახელის გადარქმევის შესახებ საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივის საჯარო განხილვა. ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ ზემოთ აღნიშნულ საჯარო განხილვას წინ უსწრებდა საკრებულოს შესაბამისი კომისიის წევრების შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების სხვადასხვა ჯგუფებთან, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლის, მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის და შემაჯამებელი საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა, დაბა ურეკის N29 ქუჩას ეწოდოს - ,,შოთა გოგუაძის" ქუჩა.

2. კომისიამ დაბა ურეკის N29 ქუჩისათვის შოთა გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ მომზადებული დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს საკრებულოს თავმჯდომარეს.

შოთა ალექსანდრეს ძე გოგუაძე დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთში. 1934 წელს იგი მუშაობას იწყებს ურეკის საბჭოთა სანერგე მეურნეობაში აგროტექნიკოსის თანამდებობაზე. 1941 წელს შოთა გოგუაძე სწავლას აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და იმავე წელს ინიშნება ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. აღნიშნულ თანამდებობაზე შ.გოგუაძე მუშაობდა 1968 წლამდე.

1968 წლიდან პენსიაში გასვლამდე შოთა გოგუაძე მუშაობდა ურეკის სანერგე მეურნეობის დირექტორად.

შოთა გოგუაძე ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას აქტიურად უთავსებდა სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულ იქნა მცენარეთა მყნობის სწარფი და უნიკალური მეთოდი, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება სამეურნეო საქმიანობაში და ისწავლება შესაბამისი პროფილის სასწავლო დაწესებულებებში. შ. გოგუაძეს გამოცემული აქვს სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის - ‘’ციტრუსების სანერგე“.

შოთა გოგუაძე დაჯილდოებულია 2 ორდენით, სასოფლო-სამეურნეო გამოფენების ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

შოთა გოგუაძე იყო გამორჩეული პიროვნება, საზოგადოებაში სარგებლობდა მაღალი რეპუტაციითა და განუსაზღვრელი ავტორიტეტით, იყო გულისხმიერი და კომუნიკაბელური. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საქმეში.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი